# გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას, ყველა ქვეყნის მშრომელთა გზისმანათობელ ვარსკვლავს სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისთვის ბრძოლაში!

ხვალ საბჭოთა ხალხი, მთელი სამყაროს პროგრესული კაცობრიობა, ყველა ქვეყნის მშრომელები ზეიმით აღნიშნავენ მსოფლიოს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 98-ე წლისთავს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 78 (3562) 21 1968 წ. აპრილი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.



▲ X თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქი გრენობლი ამას წინათ ევროპის სტუდენტ კალათბურთელ ქალთა ტურნირის ცენტრად იქცა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდები. გაიმარჯვეს ბულგარელებმა — 60:50 (29:25). III ადგილზე გავიდნენ ფრანგები (საბჭოთა სპორტსმენები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ).

▲ **მეხიკოს** ეწვია ბადროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენი ლიზელ ვესტერმანი (გფრ), რომელიც ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვარჯიშობს და მწვრთნელთან ერთად იკვლევს, თუ რა გზით მიაღწიოს საუკეთესო შედეგს ოლიმპიურ თამაშებში.

▲ პუერტორიკოელმა კრუზმა სიგრძეზე ხტომაში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი (798 სმ) დაამყარა. კრუზი სპეციალისტებს მეხიკოს ოლიმპიადის საპრიზო ადგილის ერთ-ერთ კანდიდატად მიაჩნიათ, ვინაიდან ეს ახალგაზრდა ათლეტი მეტისმეტად სწრაფად აუმჯობესებს შედეგებს.

## „დედოფალმა" სარბიელი დატოვა

**სტოკჰოლმი, 19 აპრილი.** ცნობილი ფინელი მოთხილამურის ეერო მიანტიურანტას კვალდაკვალ სპორტს თავს ანებებს გრენობლის გმირი, შვედი მრბოლელი ტოინი გუსტაფსონი. 30 წლის ტანვარჯიშის მასწავლებელს, რომელმაც თეთრ ოლიმპიადაში ოქროს 2 მედალი მოიგო და ესტაფეტაში ვერცხლის ჯილდო დაისაკუთრა, სამართლიანად უწოდებდნენ „სათხილამურო ბილიკის დედოფალს".

— მუდამ ვოცნებობდი თუნდაც ოქროს ერთი ოლიმპიური მედლის მოპოვებაზე მანამ, სანამ სპორტს დავტოვებდი. ახლა ყველაფერს მივაღწიე. მე შემიძლია თავს დასვენების ნება მივცე 12 წლის მანძილზე დამქანცველი წვრთნის, შეჯიბრებებისა და მოგზაურობის შემდეგ, — თქვა გუსტაფსონმა.

ამიერიდან იგი ახალგაზრდა სპორტსმენებს აღზრდის.

**საქვეყნო მოვლენები**

## დღეს ნომერში:

რესპუბლიკური კროსის ბილიკებზე — მე-2 გვ.

„ბოსტონი", „ჩიკაგო" — სსრ კავშირი? — მე-3 გვ.

16 მოჭადრაკე ბრძოლაში ჩაება — მე-4 გვ.

### გუშინ

„დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე დიღომში შედგა დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის. საინტერესო შეხვედრაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 2:1.

ნეაპოლში გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი იტალიისა და ბულგარეთის ნაკრებ გუნდებს შორის. მე-14 წუთზე იტალიელმა პრატიმ თავური დარტყმით ანგარიში გახსნა — 1:0. 55-ე წუთზე დომენგინიმ მეორე გოლი გაიტანა — 2:0. ამრიგად, იტალიელებმა პირველ მატჩში წაგების (2:3) რევანში აიღეს და ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გავიდნენ ნახევარფინალში.

## მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადა

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიამ გუშინწინ მიიღო დადგენილება 1969 წელს მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადის ჩატარების თაობაზე.

სპარტაკიადა ოთხ ეტაპად გაიმართება. პირველი ეტაპის შეჯიბრებებში ჩვენი ქვეყნის ყველა სკოლა მიიღებს მონაწილეობას. სპორტის მასობრივი სახეობების შეჯიბრებებში გამარჯვებულნი რაიონული, საქალაქო, საოლქო და სამხარეო სპარტაკიადების მონაწილენი იქნებიან. შემდეგ გაიმართება ზონალური ასპარეზობანი და მოკავშირე რესპუბლიკების სპარტაკიადები.

ფინალური შეჯიბრებები ჩატარდება 1969 წლის 16-28 ივლისს ერევანში.



ეს ფეხბურთია!

ფოტო ა. შალამბერიძისა. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავის გამო

# დიდი ბელადის გატაცება

დიდ ლენინს ბავშვობიდან იტაცებდა ჭადრაკის საიდუმლოება. ვლადიმერ ილიას ძეს ღრმად ესმოდა თამაშის არსი და თავადაც საკმაოდ ძლიერად თამაშობდა. ჭადრაკი მუდამ ერთგულ მეგობრობას უწევდა მას. ჭადრაკმა ძალიან გატაცება იცისო, — ხშირად ამბობდა დიდი ბელადი.

ვლადიმერ ილიას ძე „... უალრესად მშვიდი და არა ისეთი ემოციური მოთამაშე იყო, როგორც მარქსი. გამარჯვებისა თუ წაგების შემდეგ იგი გარეგნულად არაფრით არ ამჟღავნებდა თავის ემოციებს, მაგრამ თამაშის მსვლელობა მისთვის სულერთი როდი იყო. იგი ღრმად, ნერვების სრული დაძაბულობით განიცდიდა ჭადრაკის „სისხლიანი ბრძოლის“ პერიპეტიებს,“ — წერს თავის მოგონებაში ძველი ბოლშევიკი პ. ლეპეშინსკი.

ლენინი კარგად ერკვეოდა საჭადრაკო კომპოზიციაშიც, უყვარდა ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნა.

აი, გერმანელი პრობლემისტის ო. ვიურცბურგის სამსვლიანი ამოცანა, რომელიც ძალიან მოსწონდა ვლადიმერ ილიას ძეს.

იხ. დიაგრამა № 1.

პ. ლეპეშინსკი იხსენებს, რომ ციმბირში გადასახლებისას ლენინი არასოდეს ამბობდა უარს ამოეხსნა ჩემი შედგენილი ამოცანაო.

„მახსოვს, ერთხელ შევთავაზე მას ამოეხსნა ჩემი ასეთი ამოცანა:

იხ. დიაგრამა № 2.

დაფაზე ფიგურების გადაუადგილებლად ილიჩმა ამ ამოცანაზე დაახლოებით ხუთი წუთი (მე საათს ვუყურებდი) დაძაბულად იფიქრა, გაიღიმა და სწორი ამოხსნაც მიჩვენა“.

თ. გიორგაძე.

დიაგრამა № 1.



შამათი სამ სვლაში.

დიაგრამა № 2.



შამათი სამ სვლაში.

КРОСС ПРАВДЫ

# რთული ამოცანის წინაშე

მარკებში, მინდვრად, გზატკეცილზე, სტადიონზე — ყველგან, სადაც შეჯიბრების გამართვა შეიძლება, მორბენლები ზამთარში გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებენ. გაზაფხული კროსების პერიოდია და მწვრთნელებსაც თავიანთი საზრუნავი აქვთ — ახლავე უნდა შეარჩიონ კანდიდატები მძლეოსანთა ნაკრებისთვის, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას. ყველაზე მეტად ჭირს საშუალო და გრძელ დისტანციაზე მორბენლების შერჩევა. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ სახეობებში გაცილებით ნაკლები სპორტსმენი ვარჯიშობს, ძლიერი პირველთანრიგოსნის აღსაზრდელად კი სულ ცოტა 6–7 წელია საჭირო.

სად ვეძებოთ ნიჭიერი სტაიერები? ისევ და ისევ სარბიელზე, კროსების დროს, მაგრამ მძლეოსნობის ამ სახეობას საქართველოში წლევანდლამდე შესაფერი ადგილი არ ეჭირა. კროსები რატომღაც იშვიათად ეწყობოდა კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში. ამ მიზეზით რესპუბლიკურ ტურნირებში ათიოდე გუნდი ძლივს იყრიდა თავს და ისინიც უმეტესად ნაუცბათევად იყვნენ დაკომპლექტებული.

ადრე კროსებს არც სპორტსაზოგადოებები და უწყებები აქცევდნენ სათანადო ყურადღებას, განათლების სამინისტროს სისტემის კოლექტივებისთვის კი ეს ღონისძიება არც წლეულს გამართულა.

ამ მხრივ საქმე კარგად არც საკავშირო სარბიელზე გვაქვს. ჩვენი ქვეყნის კროსმენებმა ბოლო წლებში დათმეს პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე უმეტესად იმიტომ, რომ საზღვარგარეთ გემო გაუგეს ამ სახეობას.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების საქმეს ემსახურება „პრავდის“ პრიზზე გამართული ტურნირები, რომელთა მოთხოვნები ყოველწლიურად იზრდება. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამაც სათანადო ღონისძიებანი დასახა, მაგალითად, „პრავდის“ პრიზზე რესპუბლიკური კროსის ფინალი ბათუმის რაიონში, სოფელ ანგისაში ჩატარდა მძლეოსნობის პროპაგანდის მიზნით. წინა კვირას ამ სოფელში საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 20 გუნდის 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. გუნდები ორ ჯგუფად დაიყვნენ: I ჯგუფში თბილისის (2), აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, ფოთისა და რუსთავის კოლექტივები ასპარეზობდნენ, II ჯგუფში გამოვიდა რაიონების 11 გუნდი. პროგრამაში იყო მოზარდების, იუნიორებისა და მოზრდილთა შეჯიბრებები.

შეჯიბრების დღეს ქარი ქროდა და წვიმდა, მაგრამ ტურნირი მაინც საინტერესოდ ჩატარდა. კროსმა გამოავლინა რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენიც. მაგალითად, წალკის რაიონის აშკალის საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ა. ზურნაჩიანმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთან ლ. კორკოტაძესთან (თბილისი-I — 3.36,7) 1000 მეტრზე რბენაში მხოლოდ 0,3 წამი წააგო. III ადგილი მოიპოვა ს. კოჩეტოვამ (თბილისი-II) — 3.37,1.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საწვრთნელ პროგრამაში მწვრთნელებს კროსი იშვიათად შეაქვთ, ამიტომ საშუალო დისტანციებზე მორბენალ ქალთა ტემპი მუდამ დაბალია. ლ. კორკოტაძე (მწვრთნელი ზ. ჯარაშნელი) ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია.

ამავე დისტანციაზე ქალთა ტურნირი უფრო უთანაბრო შედეგებით დამთავრდა. ერთადერთმა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. პაზოკამ (თბილისი-I) შეძლო II თანრიგის შედეგის ჩვენება — 3.27,4. ცხინვალის პედინსტიტუტის სტუდენტი ფ. ბეტეევა II ადგილს დასჯერდა — 3.31,6.

აღსანიშნავია, რომ წალკელებმა აქაც ისახელეს თავი: III და IV ადგილები ს. ფასენოვამ და ს. ბაიბურდოვამ დაისაკუთრეს.

მეტს ველოდით 2000 მეტრზე მორბენალი ქალებისგან. აქ II თანრიგის ნორმატივს (7.30,0) ვერ შესწვდა რესპუბლიკის ნაკრების წევრი რ. შჩიკოვსკაიაც კი (თბილისი-I) — 7.32,8. მეორე პრიზიორმა ა. კაზაკოვამ (ბოგდანოვკა) და III ადგილზე გასულმა ს. როევამ (აფხაზეთი) 7.37,4 და 7.44,0 აჩვენეს შესაბამისად.

კროსში უმაღლესი ნორმატივი II თანრიგის შედეგია. ამ მხრივ ვაჟების მოსავალი უფრო უხვი იყო. ჭაბუკებში ორმა აჩვენა ეს შედეგი, იუნიორებში — ოთხმა, ვაჟებში — 8 მონაწილემ.

გამარჯვება ყველა გარბენში თბილისის I გუნდის მძლეოსნებმა მოიპოვეს, მაგრამ ცალკეულ დისტანციებზე უძლიერესთა ექვსეულში რესპუბლიკის ოლქების, ქალაქებისა და რაიონების სხვა სპორტსმენებიც მოხვდნენ. ეს სამერმისო იმედს იძლევა.

რაც შეეხება გუნდურ შედეგებს, I ჯგუფში ყველაზე უკეთ თბილისის I, აჭარისა და თბილისის II კოლექტივები გამოვიდნენ. II ჯგუფში საპრიზო ადგილები მოიპოვეს წალკის, ბოგდანოვკისა და ბორჯომის კროსმენებმა. ბევრს მოველოდით ქუთაისის, ფოთის, მახარაძისა და ხაშურის სპორტსმენებისგან.

შეჯიბრების სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: 3000 მეტრზე რბენა. ჭაბუკები: ა. მიქოიანი — 9.17,4, ზ. კოვზინაძე (ორივე — თბილისი-I) — 9.19,8, ა. კონდრატენკო (აჭარა) — 9.50,4; იუნიორები: ი. ცანავა — 9.07,0, ლ. ტიტოვი (ორივე — თბილისი-I) — 9.31,0, მ. შტელმანი (თბილისი-II) — 9.33,0; 8000 მეტრზე რბენა. ვაჟები: ნ. დავიდენკო (თბილისი-I) — 25.42,0, ფ. სერგუზინი (რუსთავი) — 26.04,4, ი. მიხაილჩენკო (თბილისი-I) — 26.20,0.

5 მაისს მოსკოვში „პრავდის“ საკავშირო კროსი ტარდება. ამ შეჯიბრებაში საქართველოდან რამდენიმე გუნდი უნდა გამოვიდეს: რესპუბლიკის ნაკრები, აფხაზეთისა და აჭარის, „კოლმეურნის“, თბილისის, სოხუმისა და ბათუმის კოლექტივები. საკავშირო სარბიელზე ამდენი გუნდი სხვა დროს არ გაგვიყვანია. ეს ართულებს გუნდების დაკომპლექტებას, მაგრამ, ვფიქრობთ, სარგებლობასაც მოგვიტანს.

ვ. ნედაშკოვსკაი,
საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს წევრი,

ვ. მუსხელიშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



# ახადარაშიც არბეკოვმა იმარჯვა

მოტოკროსში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებმა თბილისის ტრასის დალაშქვრის შემდეგ სოხუმს მოაშურეს და აქ, ახადარის მიდამოებში, III ეტაპზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მათთვის, ვინც სარბიელზე „250-ანებით“ გამოვიდა, ეს ოქროს მედლისთვის ბრძოლის მესამე ეტაპი იყო, „500-ანებით“ მოასპარეზეთათვის კი მხოლოდ უძლიერესთა შეჯიბრება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ კლასში ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები თბილისიდან იტალიაში გაემგზავრნენ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

წვიმამ ტრასა აატალახა, რამაც მონაწილეთ რბოლა კიდევ უფრო გაუძნელა. ასეა თუ ისე, მრავალრიცხოვანი მაყურებელი საინტერესო ტურნირის მოწმე გახდა. 250 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით ბრძოლაში 2 ეტაპის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავდა: სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. არბეკოვსა (მოსკოვი) და სპორტის ოსტატ ლ. შინკარენკოს (კიევი) 14-14 ქულა ჰქონდათ. ამიტომ ახადარაში გამარჯვებას ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ტურნირი აქაც საერთაშორისო ფორმულით ჩატარდა. მონაწილეებს 2-2 ცდა ეძლეოდათ.

ტურნირის მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის ა. ჯაფარიძის ნიშანზე ბრძოლაში 32 სპორტსმენი ჩაება. თავიდანვე არბეკოვი დაწინაურდა. მას კვალში ჩაუდგა შინკარენკო. პირველი ცდის ფინიშთან ისინი ამ თანმიმდევრობით მივიდნენ.

მეორე ცდაზე სტარტიდან პირველი შინკარენკო გაიჭრა, მაგრამ უპირატესობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა. ერთი წრის შემდეგ არბეკოვმა მას ოსტატურად აუარა გვერდი და ლიდერობა ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან. ამრიგად, სოხუმის ეტაპზე გამარჯვება არბეკოვს დარჩა. შინკარენკო II ადგილზე გავიდა.

„500-ანებით“ შეჯიბრებაში 19 სპორტსმენი მონაწილეობდა. ყველას აჯობა ა. ანგერსმა („დაუგავა“), II ადგილზე გავიდა კიეველი მ. გუდანოვი, III — გამარჯვებულის თანაგუნდელი გ. ტრაუტმანისი.

ვ. სემიონოვი.
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების ერთი მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# პირველ აცდენამდე

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის დამთავრებიდან წელიწადიც არ გასულა და ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მესტენდურეებმა კვლავ მოსკოვში მოიყარეს თავი. ამჯერად ისინი სსრ კავშირის თასისთვის იბრძოდნენ. სპარტაკიადაში ადგილიდან სროლაში ყველას საქართველოს გუნდმა აჯობა და მისი მეტოქენი ახლა რევანშის აღებას ცდილობდნენ.

საქართველოს ნაკრები მოსკოვს გვიან ჩავიდა — ასპარეზობის დაწყებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე. გუნდის წევრთა უმეტესობა ერთბაშად ვერ შეეგუა ჰავას. ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე, ტ. ჟღენტი, ლ. სიმონიანი და ს. თოხაძე ცეცხლის ხაზზე სიცხიანი გამოვიდნენ (კ. ჟღენტმა საერთოდ ვერ შეძლო ბრძოლაში ჩაბმა). ამან, რა თქმა უნდა, შედეგებზეც იქონია გავლენა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ადგილიდან მსროლელებმა მოსკოვის გუნდთან საბოლოოდ მხოლოდ 17 ქულა წააგეს და II ადგილი დაისაკუთრეს.

საქართველოს გუნდის წევრთა ცალკეული მაჩვენებლები ასეთია: საერთაშორისო სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა პირველ დღეს 100-დან 92 ქულა მოაგროვა, მეორე დღეს — 93, ბოლოს — 91 და 300-დან 276 ქულით V ადგილი დაიკავა. საერთაშორისო სპორტის ოსტატმა კ. დარასელიამ მაჩხანელთან 6 ქულა წააგო (87; 90; 93), ი. საგანელიძემ—267 ქულა დააგროვა (89; 86; 92), ხოლო ვ. ალავერდოვმა — 261 (82; 88; 91).

თუ სპარტაკიადის შედეგებს ვიგულისხმებთ, საქართველოს სპორტსმენებმა მრგვალ სტენდზე სროლაში ხუთი ადგილით წინ წაიწიეს და ამჯერად X ადგილი დაისაკუთრეს. მაგრამ არც ესაა ჩვენი შესაძლებლობის ზღვარი. მრგვალ სტენდზე მსროლელებს ადგილიდან მსროლელთა მაჩვენებლები რომ გაემეორებინათ, თასი საქართველოს გუნდის საკუთრება გახდებოდა.

მრგვალ სტენდზე ჩვენი სპორტსმენებიდან ყველას აჯობა ახალგაზრდა მსროლელმა თ. მატოიანმა. მან 200 შესაძლებლიდან 180 ქულა მოაგროვა (89:91), ნ. გოცირიძეს — 1 ქულით ნაკლები შედეგი ჰქონდა. გუნდის ლიდერებმა — საქართველოს რეკორდსმენმა ტ. ჟღენტმა და ლ. სიმონიანმა კოლექტივს შესაბამისად 177 და 166 ქულა შესძინეს. აქვე დავსძენთ, რომ ტურნირის საერთოდ დაბალი შედეგები სამიზნეთა მიმწოდებელი მექანიზმების კონსტრუქციაში შეტანილმა სიახლემაც განაპირობა — თეფშები ახლა უფრო სწრაფად ფრენდნენ.

თ. მატოიანმა თავი ისახელა პირველ აცდენამდე შეჯიბრებაშიც. მრგვალ სტენდზე მან მე-60 სამიზნეს ააცდინა და საბოლოოდ II ადგილი დაიკავა.

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ახალი ამბები

● სოფი, 19 აპრილი. აქ დაიწყო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. პირველ დღეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს (6:0), ხოლო უნგრელებმა — ბულგარელებს — 4:1.

● ლონდონ, 20 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთის ოსტატების ორივე საბჭოთა გუნდმა — ქალებმაც და ვაჟებმაც მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება. ვაჟთა გუნდის მეტოქე იქნება შვეციის ნაკრები, ხოლო ქალებისა — გფრ-ის კოლექტივი. წუხელ საბჭოთა ვაჟებმა თავიანთ ჯგუფში გადამწყვეტი მატჩი მოუგეს იუგოსლავიელებს — 5:4, ხოლო ქალთა გუნდმა აჯობა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს — 3:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩი, რომელიც არ ყოფილა

## კანადელი მწვრთნელები სამოყვარულო და პროფესიული ჰოკეის შესახებ

მსოფლიოში ალბათ იშვიათია ჰოკეის მოყვარული, რომელსაც არ დააინტერესებდა საკითხი: ვინ უფრო ძლიერად თამაშობს — კანადელი პროფესიონალები, თუ მოყვარულთა საუკეთესო გუნდები?

ჩეხოსლოვაკიელმა ჟურნალისტმა ლ. კრნაჩმა ისარგებლა ორი ცნობილი კანადელი სპეციალისტის — მაკლეოდისა და ბაუერის პრაღაში ყოფნით და მათი დახმარებით ჩაატარა პროფესიული კლუბების ორი თავისებური შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებთან. ამ მიზნით მან ჰოკეი 12 ელემენტად დაჰყო და კანადელებს სთხოვა თვითეული მათგანის მიხედვით შეეფასებინათ მეტოქეთა ძალები. არჩევანი შემთხვევითი არ იყო. მაკლეოდი ათიოდე წლის მანძილზე კანადის საუკეთესო კლუბებში გამოდიოდა, პატერი ბაუერი კი კანადის ნაკრების მოძღვარია და მათზე უკეთ, აბა, ვინ იცის პროფესიული და სამოყვარულო ჰოკეის თავისებურებანი? სსრ კავშირის ნაკრების მეტოქედ მაკლეოდმა აირჩია კლუბი „ბოსტონ ბრიუინსი", ბაუერმა კი — „ჩიკაგო ბლეკ ჰოუკსი" — ჰოკეის ეროვნული ლიგის 1967 წლის ჩემპიონი. აი, როგორ წარიმართა ეს მატჩი, სადაც უმაღლესი შეფასება ხუთიანი იყო:

### ფიზიკური მომზადება

მაკლეოდი: „საბჭოთა მოთამაშეებს უფრო მრავალმხრივი მომზადება აქვთ, განსაკუთრებით, ძალისმიერ ელემენტებში. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 3:5".

ბაუერი: სსრ კავშირის ნაკრების უპირატესობა ის გახლავთ, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სეზონებს შორის წვრთნას. პრაქტიკულად, გუნდის წევრები მთელი წლის მანძილზე თამაშობენ ჰოკეის. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 3,5:5.".

### ციგურაობის ტექნიკა

მაკლეოდი: „საშუალო დონე პროფესიონალებისა უფრო მაღალია. ბობი ორს, მაგალითად, წარმოუდგენელი აჩქარებანი აქვს. ალექსანდროვი უფრო ელეგანტურად ციგურაობს. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 5:3.".

ბაუერი: „საბჭოთა ჰოკეისტები უფრო მყარად დგანან ციგურებზე, მაგრამ პირადად მე ბობი ჰალს „შვიდიანს" დავუწერდი. კანადის ნაკრების მოთამაშეები, რომელთაც გრენობლში იასპარეზეს, ციგურებზე „ჩიკაგოს" სამეულზე უკეთ დგანან. ამრიგად, „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 4:4."

### შაიბის კონტროლი

მაკლეოდი (დაუფიქრებლად): „აქ მეტოქეები თანაბარი ძალისა არიან. ესპოზიტო და ფირსოვი შეიძლება ნიმუშად დავასახელოთ. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 4:4."

ბაუერი (ბევრი ფიქრის შემდეგ): „ორივე გუნდი სხვადასხვა სტილში თამაშობს. პროფესიონალისთვის მთავარია პრინციპი: ესროლე, მოგერიებული შაიბა ხელმეორედ ტყორცნე, მეკარეზე, ასე ვთქვათ, დაწოლა მოახდინე! სსრ კავშირის ნაკრებში მთავარია პოზიციის მომზადება, შაიბის ნაღდად გათამაშება. თვითეული ძლიერია თავის საქმეში. მე არ მჯერა იმ მტკიცებისა, თითქოს საბჭოთა ჰოკეისტები მექანიკურ ჰოკეის თამაშობენ. მხოლოდ „მონრეალ კანადიენსს" შეუძლია ორივე სტილის შეთავსება. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 4:4,5".

### ტყორცნა

მაკლეოდი: „პროფესიონალები უფრო ხშირად, ძლიერად და ზუსტად ტყორცნიან. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 5:2."

ბაუერი: „ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 15 ფანტასტიკური ბომბარდირია, მაგრამ ეს არის და ეს. ეს შეკითხვა ორი წლის წინ რომ მოგეცათ, ჩემი შეფასება ასეთი იქნებოდა: „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 5:2, ახლა კი ასეთია: 5:3,5. განსხვავება საგრძნობია."

### გადაცემა

მაკლეოდი: „პროფესიონალების თამაშში გადაცემა ნაკლებია, მაგრამ ეფექტური. საბჭოთა ჰოკეისტები ძალიან ბევრ გადაცემას აკეთებენ. ალმეტოვი და სტარშინოვი პასის ჭეშმარიტი მეფეები არიან. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 4:4"

ბაუერი: „საბჭოთა მოთამაშეები გადაცემის მრავალ ხერხს ფლობენ, და მათი გადაცემები უფრო ზუსტია. პროფესიონალები უფრო ხშირად კარგავენ შაიბას, ვინაიდან უფრო ხშირად სწევენ რისკს. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 4,5:5."

### ძალისმიერი თამაში

მაკლეოდი: „თამაშის ეს ხერხი პროფესიონალებისთვის უფრო ჩვეულია, საბჭოთა მოთამაშეები კი მას უკეთესად მხოლოდ პრესინგის დროს ფლობენ. ძალისმიერი თამაშისთვის იდეალური მონაცემები აქვს რაგულინს. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 5:3."

ბაუერი: „საბჭოთა გუნდში მართალია ნაკლებად, მაგრამ მაინც არიან მოთამაშეები, რომელთაც კორპუსით თამაში არ უყვართ. პროფესიონალებში ასეთები არ არიან. და მაინც, „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 4,5:4,5."

### მეკარეთა თამაში

მაკლეოდი: „აქ ყველაფერი ნათელია. ბოვერი, კემბელი — კონოვალენკო, ზინგერი — ესაა 5:3."

ბაუერი: „ყველა პროფესიონალი მეკარე საუკეთესო მოთამაშეა. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 5:3,5."

### რიცხობრივი უპირატესობის რეალიზაცია

მაკლეოდი: „საბჭოთა მოთამაშეებს უპირატესობა აქვთ პოზიციის არჩევასა და გადაცემებში. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 3:4."

ბაუერი: „განსხვავებას ვერ ვხედავ. ორივე მეტოქეს აქვს გამოუყენებელი რეზერვები. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 3,5:3,5."

### თამაში უმცირესობით

მაკლეოდი: „ჰოკეის ეროვნული ლიგის (ჰელ) კლუბებში მეტი სპეციალისტია შაიბის კონტროლისა. სსრ კავშირის ნაკრები უფრო აქტიურად იცავს თავს. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 3:3."

ბაუერი: „გააჩნია, ვის გაუღიმებს ბედი. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 3,5:3,5."

### დაცვა

მაკლეოდი: „პროფესიონალებს საუკეთესო მეკარეები ჰყავთ. თავდამსხმელები დაცვას ნაკლებად უწევენ დახმარებას. საერთოდ კი, ჰელ-ის გუნდები უკეთ იცავენ თავს. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 4:3."

ბაუერი: „მეკარეებს მხედველობაში არ მივიღებ. პროფესიონალებს გოლისთვის ფულს უხდიან. ამიტომ, მაგალითად, „ჩიკაგომ" ვერაფრით ვერ შეძლო სტენლის თასის მოგება. სსრ კავშირის ნაკრები უფრო კოლექტიურად იცავს თავს. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 4:5."

### თავდასხმა

მაკლეოდი: „ძნელია პასუხის გაცემა. პროფესიონალები უფრო ხშირად ტყორცნიან, მაგრამ საბჭოთა მოთამაშეები ერთმანეთს უკეთ უქმნიან ტყორცნისთვის ხელსაყრელ პოზიციას. ყველაფერს დაცვისა და მეკარეების თამაში გადაწყვეტდა. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 4:3."

ბაუერი: „მე უკვე გამოვთქვამს აზრი ამ საკითხის გამო. ჰალი და მიკატა ჰოკეის სუპერვარსკვლავებია. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 5:3,5."

### თამაშის საერთო ხასიათი

მაკლეოდი: „მიმაჩნია, რომ პროფესიონალთა თამაში უფრო რაციონალურია. სსრ კავშირის ნაკრები უფრო ორგანიზებულად მოქმედებს, ამასთან, წლიდან წლამდე მეტი სიძლიერით თამაშობს. ამ გუნდში სულ უფრო ხშირად ჩნდებიან ალმეტოვის, ფირსოვის, პოლუპანოვის ტიპის მოთამაშეები. ეს ფაქტორი რომ გაგვეთვალისწინებინა, მე ფრეს ვიტყოდი. მეტოქეთაგან თვითეულმა საკუთარი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ჰოკეიში. „ბოსტონი" — სსრ კავშირი — 4:4."

ბაუერი: „თვითეულს აქვს თავისი კარგი თვისებები და მეტოქის გუნდში თამაში ძალიან გაუჭირდებოდა. ჩემი აზრით, საბჭოთა ჰოკეისტებიდან მხოლოდ ფირსოვი და სტარშინოვი არ დაიბნეოდნენ. „ჩიკაგო" — სსრ კავშირი — 5:5."

მაშ, ვინაა ძლიერი? დაითვალეთ ქულები, გაყავით თორმეტზე და გაიგებთ. ხოლო კონკრეტულ შეკითხვას, თუ როგორ დამთავრდებოდა ასეთი მატჩი, კანადელებმა ასე უპასუხეს:

მაკლეოდი: „არა მგონია, რომ პროფესიონალები საერთაშორისო წესებით თამაშის თანახმა იყვნენ. საკუთარ მოედანზე „ბოსტონი" 3 შაიბის სხვაობით, გასვლით მატჩში კი 1 შაიბის სხვაობით მოიგებდა. მსაჯთა პრობლემას არ ვგულისხმობთ. შვიდმატჩიან სერიაში პროფესიონალები შინ ექვს მატჩს მოიგებდნენ".

ბაუერი: შვიდი მატჩიდან საბჭოთა ჰოკეისტები, ალბათ, პირველ ოთხ შეხვედრას წააგებდნენ, საერთო ანგარიში კი იქნებოდა 5:2 ან 4:3. ვფიქრობ, სსრ კავშირის ნაკრებს, რომელიც გამუდმებით იმაღლებს ოსტატობას, შეუძლია 3 მატჩის მოგება. საბჭოთა გუნდი ძლიერია ჰოკეის ეროვნული ლიგის ახალბედებზე და, ალბათ, „ვეტერანებზეც" — „დეტროიტსა" და „ნიუ-იორკ რეინჯერსზე".

• • •

**საბჭოთა ჰოკეის ლიდერებს — ცსკა-ს სპორტსმენებს ოქროს მედლების უხვი კოლექცია აქვთ. 1948 წლიდან დაწყებული, მათ ოლიმპიური თამაშების 80, სსრ კავშირის 217, ევროპის 94 და მსოფლიო ჩემპიონატების ოქროს 70 მედალი აქვთ მოხვეჭილი. წლეულს მოსკოველმა არმიელებმა დუბლი გააკეთეს: მოიგეს სსრ კავშირის თასიცა და ჩემპიონატიც.**



ს უ რ ა თ ზ ე: ცსკა-ს გუნდი.

ფოტო ვ. ველიკჟანინისა და ვ. შანდრინისა (ტასს).

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ტტტ (რიგა) | 22 | 22 | 0 | 1453—1005 | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) | 22 | 16 | 6 | 1334—1215 | 16 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 22 | 14 | 8 | 1154—1148 | 14 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 22 | 14 | 8 | 1243—1117 | 14 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 22 | 13 | 9 | 1258—1188 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 22 | 12 | 10 | 1254—1167 | 12 |
| სპი (თბილისი) | 22 | 10 | 12 | 1242—1269 | 10 |
| „დინამო" (ნოვოსიბირსკი) | 22 | 9 | 13 | 1147—1262 | 9 |
| ასკ (ლენინგრადი) | 22 | 8 | 14 | 1123—1228 | 8 |
| „დინამო" (კიევი) | 22 | 6 | 16 | 1190—1295 | 6 |
| „პოლიტექნიკა" (კაუნასი) | 22 | 5 | 17 | 1160—1314 | 5 |
| „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) | 22 | 3 | 19 | 1065—1415 | 3 |

• • •

*საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა ბოლო ორი მატჩი ასე დაამთავრა: ჩემპიონებთან — რიგის ტტტ-სთან წააგო — 38:57 (6:24), ხოლო ტაშკენტის „ტექსტილმაშთან" მოიგო — 56:38 (21:14).*

*კაუნასის „პოლიტექნიკასა" და ტაშკენტის „ტექსტილმაშის" ნაცვლად გაისად, 36-ე ჩემპიონატში ითამაშებენ მეორე ლიგაში გამარჯვებულნი — ლენინგრადის „სპარტაკი" და ტარტუს „უნივერსიტეტი".*

## 95:70

**ბაქო, 19 აპრილი.** რიგის ვეფ-მა დღეს აქ სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა პირველობაზე განმეორებითი შეხვედრაც მოუგო ადგილობრივ „ბურევესტნიკს", ამჯერად, უფრო დიდი ანგარიშით — 95:70.

### სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## „ტორპედო" ლიდერია

I „ა" ჯგუფი

19 აპრილს მოსკოვში შედგა მორიგი მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ტორპედომ" მიიღო გათამაშების ლიდერი — ბაქოს „ნეფტჩი".

თამაში მოიგეს მოსკოველებმა — 1:0. გოლის ავტორია გ. შალიმოვი. ამ გამარჯვებით „ტორპედო" 6 ქულით სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს.

### III ქვეჯგუფი გათამაშების ცხრილი

II „ა" ჯგუფი

მდგომარეობა 21 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 3 | 3 | 0 | 0 | 9—0 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—2 | 5 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—1 | 5 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 3 | 2 | 1 | 0 | 3—0 | 5 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4—2 | 5 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 3 | 1 | 1 | 1 | 4—3 | 3 |
| „თერგი" (გროზნო) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2—2 | 3 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 3 | 1 | 1 | 1 | 1—2 | 3 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 3 | 1 | 0 | 2 | 5—5 | 2 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 3 | 1 | 0 | 2 | 4—5 | 2 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 3 | 0 | 2 | 1 | 1—3 | 2 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| „ვოლგა" (გორკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 1—4 | 1 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—6 | 1 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 3 | 0 | 1 | 2 | 0—5 | 1 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—2 | 0 |
| „სტროიტელი" (უფა) | 3 | 0 | 0 | 3 | 1—7 | 0 |

## 2 გოლი მეორე ტაიმში

„ბ" ჯგუფი

ქობულეთის „შუქურამ" გუშინწინ შინ მორიგი კალენდარული მატჩი ჩაატარა კასპიისკის „ტრუდთან".

მასპინძელთა საერთო უპირატესობა თავიდანვე ეჭვს არ იწვევდა. მათ შეტევას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ თავდამსხმელები ვერ იყენებდნენ ბურთის გატანის ხელსაყრელ მომენტებს.

ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ. 65-ე წუთზე „ტრუდის" კარისკენ დაინიშნა კუთხური და ურუშაძის მიერ მოწოდებული ბურთი პირდაპირ ჩაეშვა ბადეში — 1:0. შემდგომში ქობულეთელებმა კიდევ ერთი გოლით გაზარდეს ანგარიში (კვირკველიამ ძლიერად მიაწოდა კარის გასწვრივ, ბურთი მოხვდა „ტრუდის" ერთ-ერთ მცველს და ხაზს იქით აღმოჩნდა) და გაიმარჯვეს — 2:0.

„შუქურას" შემადგენლობაში თამაშობდნენ: გუგუშვილი, გოგმაჩაძე, კორკინი, კვირკველია, კომახიძე, თანანაშვილი, პოლტაჩენკო, ტოვმასიანი (ჯიქია), შაფათავა, დიაკონიძე, ურუშაძე.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

ქობულეთი.

სსრ კავშირის თასზე

## დამატებით დროში

**ბათუმი,** 20 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა მატჩი სსრ კავშირის თასზე ადგილობრივ „დინამოსა" და გორკის „ვოლგას" შორის.

შესვენებამდე ორივე გუნდი მოქმედებდა ინერტულად, უხალისოდ. მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა. 49-ე წუთზე სტუმრებმა კარგად ისარგებლეს ბათუმელთა დაცვის შეცდომით და კორნილინმა გახსნა ანგარიში.

ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად დინამოელებმა აიღეს ხელთ, — გუნდი თითქმის 30 წუთის განმავლობაში არ მოსცილებია მეტოქის საჯარიმო მოედანს. ერთ-ერთი იერიშისას „ვოლგას" მცველმა ხელით ითამაშა კარის წინ, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა ვერულიძემ — 1:1.

90 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებით დროში კომბინაცია ვერულიძე — მ. ისურაძე დამთავრდა ზუსტი თავური დარტყმით და გამარჯვება წილად ხვდათ ბათუმელებს — 2:1.

ო. მურვანიძე.

# მეორე პრეტენდენტი

როგორც ცნობილია, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონთან მატჩის პრეტენდენტთა ტრადიციული ტურნირის მერვე მონაწილეა 57 წლის ამერიკელი დიდოსტატი სამუელ რეშევსკი. ეს გაირკვა სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში, რომელიც ამას წინათ ლოს-ანჟელოსში ჩატარდა. მატჩ-ტურნირმა ვერც ერთი მონაწილის უპირატესობა ვერ გვიჩვენა: რეშევსკიმ, შტეინმა და ჰორტმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ სუსის საზონათშორისო ტურნირში კოეფიციენტთა სისტემით საუკეთესო შედეგი რეშევსკის ჰქონდა და შეჯიბრების წესების თანახმად გამარჯვებულად იგი აღიარეს.

ამ შედეგით რეშევსკიმ ერთბაშად ორი რეკორდი დაამყარა. ჯერ ერთი, ჭადრაკის ისტორიამ არ იცის მეორე შემთხვევა, რომ I ადგილზე გასულს არც ერთი პარტია არ მოეგოს (რეშევსკიმ მატჩ-ტურნირის რვავე შეხვედრა ყაიმით დაამთავრა); მეორეც, ამერიკელმა დიდოსტატმა სპორტული დღეგრძელობის გასაოცარი მაგალითი გვიჩვენა. პრეტენდენტთა შეჯიბრება უკვე მერვედ ტარდება, მაგრამ ამ შეჯიბრებებში ერთხელაც არ მიუღია მონაწილეობა 60 წელს მიახლოებულ მოჭადრაკეს.

ღირს გახსენებად, რომ რეშევსკის საჭადრაკო კარიერა თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყო. პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მალე მრავალი გაზეთისა და ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა საინტერესო ფოტოსურათი: პატარა ბიჭი, ძლივს რომ სწვდება მაგიდებზე განლაგებულ საჭადრაკო ფიგურებს, ერთდროულად ოც კაცს ეთამაშება. უკვე 30-ან წლებში ამერიკელმა დიდი წარმატება მოიპოვა დიდ საერთაშორისო ტურნირებში და აშკარად გამოაცხადა პრეტენზია მსოფლიო პირველობაზე.

პრეტენდენტთა შეჯიბრებაში რეშევსკიმ პირველად 20 წლის უკან მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მაშინ იგი საბჭოთა დიდოსტატებმა მ. ბოტვინიკმა და ვ. სმისლოვმა ჩამოიტოვეს (რეშევსკი III-IV ადგილზე გავიდა). 1953 წლის პრეტენდენტთა ტურნირში ამერიკელი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე იყო, მაგრამ დაძაბულ ბრძოლაში კვლავ დათმო გამარჯვება — II-IV ადგილი გაიყო დ. ბრონშტეინთან და პ. კერესთან. პირველი, როგორც ცნობილია, ვ. სმისლოვი გახლდათ.

სარბიელზე რ. ფიშერისა და ბ. ლარსენის გამოჩენამდე დასავლეთს რეშევსკი მიაჩნდა საბჭოთა მოჭადრაკეების მთავარ მეტოქედ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლაში. მას შემდეგ, რაც ორი მატჩი მოუგო არგენტინელ დიდოსტატს მ. ნაიდორფს, რეშევსკის „დასავლეთის ჩემპიონის" არაოფიციალური ტიტულიც კი მიანიჭეს. ამერიკელმა დიდოსტატმა მატჩები მოუგო ს. გლიგორიჩს, პ. ბენკოს და სხვა ცნობილ მოჭადრაკეებს.

ბოლო წლებში რეშევსკის სულ უფრო უჭირს ახალგაზრდების მეტოქეობა. შინ იგი იძულებული გახდა პირველობა ფიშერისთვის დაეთმო. თითქოს დროა, რომ ჩემპიონის გვირგვინზე ოცნებას დაემშვიდობოს, მაგრამ არა! რეშევსკი საოცარი შეუპოვრობით ცდილობს საჭადრაკო ოლიმპოს ალებას. 1964 წელს იგი ამსტერდამს ჩავიდა, საერთაშორისო ტურნირში ითამაშა, ერთ-ერთი საპრეტენდენტო ადგილი გაიყო უნგრელ დიდოსტატ ლ. პორტიშთან ერთად, მაგრამ ამ უკანასკნელთან დამატებითი მატჩი წააგო.

სამი წლის შემდეგ რეშევსკი კვლავ გამოჩნდა საზონათშორისო ტურნირში — ამჯერად ტუნისის ქალაქ სუსში. იგი ტურნირის უხუცესი მონაწილე იყო, მაგრამ ახალგაზრდული ენერგიით და ძალით იბრძოდა. ამიტომ რეშევსკიმ დამსახურებულად მოიპოვა VI-VIII ადგილი. და თითქოს ამ შეუპოვრობის ჯილდო იყო წარმატება ლოს-ანჟელოსში.

ერთხელ სუსში რეშევსკის ვკითხე, ასაკმა უმაღლესი სპორტული მიღწევებისკენ მისწრაფება ხომ არ დაგიკარგათ-მეთქი. ამერიკელმა გაიღიმა და მიპასუხა:

— მისწრაფება საკმარისი მაქვს, მაგრამ ძალა მაკლდება თანდათან.

საინტერესოა, რომ რეშევსკი ბავშვობაშივე ანცვიფრებდა სპეციალისტებს ყველაზე რთულ და მწვავე სიტუაციებში გარკვევის უნარით, როცა გამოცდილ მოჭადრაკეებსაც კი თავსატეხს გაუჩენდა ხოლმე. შემდეგში რომ ჰკითხავდნენ, როგორ ახერხებდით ამასო, რეშევსკი ასე უპასუხებდა:

— ჭადრაკის თამაში ჩემთვის ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სუნთქვა. ამისთვის განსაკუთრებული შრომა არ მჭირდებოდა.

უფრო გვიან რეშევსკიმ დაკარგა თამაშის ეს სიმსუბუქე და ხშირად ცაიტნოტში ხვდებოდა, თუმცა რაც უნდა მცირე დრო ჰქონოდა, მაინც მუდამ კარგად თამაშობდა. მე მგონია, სწორედ ამ ქრონიკულმა ნაკლმა შეუშალა ხელი უფრო დიდი მიღწევისთვის ბრძოლაში. თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ზოგიერთი კომენტატორი სხვა აზრისაა. მათ მიაჩნიათ, რომ ამერიკელი განგებ ხვდება ცაიტნოტში, რათა მეტოქეზე ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს.

ახლა რეშევსკიმ, როგორც იქნა, დააღწია თავი ცაიტნოტის ავადმყოფობას და გაცილებით უფრო რაციონალურად თამაშობს. იგი უკვე ტყუილად აღარ კარგავს დროს და ცაიტნოტიც მის პარტიებში სულ უფრო იშვიათია.

ლოს-ანჟელოსის მატჩ-ტურნირის დამთავრების შემდეგ ამერიკელს ვკითხე, რა აზრისა ხართ თქვენს შანსებზე პრეტენდენტთა ტურნირში-მეთქი:

— რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ სამთა ტურნირის შედეგებით, — თქვა რეშევსკიმ. — საერთოდ მინდა აღვნიშნო, რომ მე პრეტენდენტთა შეჯიბრების სამატჩო სისტემა უფრო მიჯდება ჭკუაში, ვიდრე სატურნირო: მატჩებში უფრო კარგად ვთამაშობ. მაგრამ საკუთარი შანსებით მაინცდამაინც მოხიბლული როდი ვარ. სამოც წლამდე მიღწეულს გამიჭირდება იმის გაკეთება, რაც ოცდაათი წლისამ ვერ გავაკეთე.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამერიკელი რეალისტი კაცია. არ დაგავიწყდეთ, რომ მეოთხედფინალურ მატჩში მისი მეტოქე იქნება ვიქტორ კორჩნოი — ნამდვილი მებრძოლი მოჭადრაკე. რეშევსკის უთუოდ ესმის, რომ ამ მატჩში ძალიან გაუჭირდება. წერილში, რომელიც ამერიკულ საჭადრაკო ჟურნალში გამოქვეყნდა, რეშევსკიმ უმაღლესი შეფასება მისცა თავის მეტოქეს. და მაინც, ამერიკელის მხარესაა სამატჩო ბრძოლის უზარმაზარი გამოცდილება და ეს უნდა გავითვალისწინოთ: კორჩნოის დიდი ჯაფა დაადგება მატჩში გამარჯვებისთვის. მიუხედავად დიდი ცდისა შტეინმა, მაგალითად, ლოს-ანჟელოსში ვერც ერთი პარტია ვერ მოუგო რეშევსკის და სწორედ ამან განაპირობა ამერიკელის საბოლოო გამარჯვება.

ერთი სიტყვით, წინასწარ არ ღირს მკითხაობა, რით დამთავრდება კორჩნოი—რეშევსკის მატჩი. მეტოქეები მალე მიუსხდებიან საჭადრაკო მაგიდას.

ი. ავერბახი,
დიდოსტატი.

## ტალი თუ გლიგორიჩი?

დღეს ბელგრადში სტარტს აიღებს მსოფლიო პირველობის კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი: მ. ტალ — ს. გლიგორიჩის ორთაბრძოლა. მეტოქეებმა 10 პარტია უნდა გაითამაშონ. ის, ვინც ადრე მოაგროვებს 5,5 ქულას, გამარჯვებულად გამოცხადდება და შეხვდება ვ. კორჩნოი — ს. რეშევსკის მატჩში გამარჯვებულს. კორჩნოისა და რეშევსკის ორთაბრძოლა დაიწყება ამსტერდამში (ჰოლანდია) მაისის პირველ კვირაში.

## კობაიძე და...

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა V საერთაშორისო ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაში დასკვნითი, XIII ტურის წინ ც. კობაიძეს 8,5 ქულა აქვს, თ. ხუგაშვილს — 7,5, ნ. ჩიქობავას და ნ. ხუბულურს — 6,5-6,5.

დღეს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგება ამ პაექრობის ბოლო შეხვედრები. მათი შედეგების მიუხედავად, კობაიძეს განაღდებული აქვს საერთაშორისო ტურნირის საგზური. სტარტიდან დაწყებული მან ზედიზედ 7 შეხვედრა მოიგო, ხოლო შემდეგ, როცა ნათელი შეიქნა, რომ პირველობას ვეღარავინ შეეცილებოდა, ზედიზედ სამი პარტია ყაიმით დაამთავრა. ბოლოსწინა ტურში დამარცხდა კიდეც.

მეორე საგზურის რეალური პრეტენდენტია ხუგაშვილი. საინტერესოა, რომ მანაც წააგო (ც. კახაბრიშვილთან) ბოლოსწინა ტურში. საქმე ისაა, რომ ხუგაშვილი უდიდესი მონდომებით, ძალების უკიდურესი დაძაბულობით თამაშობდა ყოველ პარტიას. როცა VII ტურში მას ჩიქობავამ მოუგო, „გამწარებულმა" ქალიშვილმა თავის ძირითად მეტოქეებზე — ხუბულურსა და ლ. კორომინაძეზე იძია შური. დასკვნით ტურში დ. გამყრელიძესთან მას ალბათ ყაიმიც ჰყოფნის, საერთაშორისო ტურნირში თამაშის უფლება რომ მოიპოვოს.

ვის შეუძლია შეეცილოს ხუგაშვილს? ჩიქობავასა და ხუბულურს გარდა, კახაბრიშვილსა — 4,5 (2) და მ. სანაძეს — 5 (3), ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხუგაშვილი დამარცხდა: თეორიულად, სანაძეს ყველაზე მეტი შანსი აქვს, მაგრამ მოიგებს კია ყველა შეხვედრას?

დასკვნით ტურში ყველაზე მეტად საინტერესო ალბათ მაინც ხუბულური — კახაბრიშვილის, ჩიქობავა — თ. კაჭარავასა და სანაძე — ნ. ბალაშვილის პარტიებია, სადაც III ადგილის ბედი უნდა გადაწყდეს. ამ ადგილის მფლობელი ხომ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის პირველი კანდიდატი იქნება!

თ. ნინოშვილი.







## სლალომი წყალზე

1963 წელს ლატვიელ ტურისტთა ჯგუფმა მდინარე ამატზე პირველად მოაწყო შეჯიბრება საწყლოსნო სლალომში. მას შემდეგ დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ამ მამაცთა სპორტმა, რომელიც ადამიანისგან დიდ ამტანობას, უსწრაფეს რეაქციას და შესანიშნავ ფიზიკურ წრთობას მოითხოვს. წლეულს ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა, კრასნოიარსკელმა და პერმელმა სტუმრებმაც. შეჯიბრება სარეკორდო იყო მონაწილეთა რიცხვით. მიმზიდველ ბრძოლას ინტერესით თვალს ადევნებდა რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 20 ათასი მაყურებელი.

შეჯიბრება ტარდებოდა ერთადგილიანი და ორადგილიანი ბაიდარებით, რეზინის გასაბერი სამონადირო ნავებით და სხვადასხვა სახეობის კატამარანებით. საწყლოსნო სლალომის დისტანცია 800 მეტრი იყო.

• • •

სურათებზე: კატამარანს შეჯიბრებისთვის ამზადებენ; ასპარეზობის დროს; ეს ტივი წვიმაში შესანიშნავი თავშესაფარია.

ფოტო ე. ფადეევისა და ვ. ნიკოლაევისა (საკდეს).

ჭადრაკი

XXIX

## გაკეთდა პირველი სვლები

გუშინწინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, საზეიმოდ გაიხსნა საქართველოს ვაჟთა XXIX პირველობა. მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი, 2. ოსტატი ე. უბილავა, 3. ოსტატობის კანდიდატი გ. მუკნიაშვილი (გორი), 4. ოსტატობის კანდიდატი ს. მეგრელიშვილი, 5. ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი (ტყვარჩელი), 6. ოსტატი თ. გიორგაძე, 7. შ. თოთლაძე (გორი), 8. თ. დეკანოზიშვილი, 9. მ. არჩვაძე (სამტრედია), 10 ოსტატობის კანდიდატი გ. კალატოზიშვილი, 11. ოსტატობის კანდიდატი ა. წერეთელი, 12. ოსტატობის კანდიდატი ზ. მიქაძე, 13. ოსტატი ბ. გურგენიძე, 14. ოსტატი თ. ლომაია, 15. ოსტატობის კანდიდატი გ. მაჭავარიანი, 16. ოსტატი ა. მოკუჩავა.

## გუშინ...

გაიმართა I ტური. უბილავამ მოუგო მაჭავარიანს, ლომაიამ — მუკნიაშვილს, გურგენიძემ — მეგრელიშვილს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. დეკანოზიშვილ— არჩვაძის შეხვედრა არ შედგარა.

## მკვლელს — დახვრეტა

შარშან, 27 დეკემბრის ნომერში, „ლელო" ამ სათაურით იტყობინებოდა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის გიორგი მინასიანის ტრაგიკული დაღუპვის ამბავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ა. ფალავანდიშვილის თავმჯდომარეობით განიხილა გ. მინასიანის მკვლელის გ. დემეტრაშვილის საქმე და დამნაშავეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ისნის" სტადიონი. საქართველოს პირველობა. დღეს: „ისანი" (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო). დასაწყისი 12 საათზე. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „სულორი" (ვანი). დასაწყისი 13 საათზე. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასის I ჯგუფი. დღეს: „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 21 აპრილი-17 მაისი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. დღეს: II ტური. დასაწყისი 16 ს.

კალათბურთი. სპორტის სასახლე. 22-23 აპრილი. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა). დასაწყისი 20 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14, 8 უე 04049